ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 01

ქ. ონი 22. 01. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 10 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, ვასო მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, ლევან ორდინიძე, ვლადიმერ ბერელიძე, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მარკოიშვილი, სონია გუგეშაშვილი, ზურაბ ბენდიანიშვილი.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე, თეიმურაზ ცეცაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი-ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - თინათინ ბროლაშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ანა გოშაძე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - გრიგოლ კენჭაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

2.,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მომსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,
თანამომხს. ანა გოშაძე - ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

3.„ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საკრებულოს

აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: გაჩანა მარკოიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე/

4.,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილების თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,
თანამომხს. გრიგოლ კენჭაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი/

5.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: გაჩანა მარკოიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1.,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ალ. კერვალიშვილმა კითხვით მიმართა ლ. შერაზადიშვილს-სად კეთდება ასანიზაციის ორმო, რაზეც ლ. შერაზადიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ობიექტი განთავსდება ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე. ალ. კერვალიშვილმა ასევე დასვა კითხვა თუ შეიძლება ბაზოვის ქუჩაზე მდებარე ავარიული შენობები იქნეს გასუფთავებული ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხით? ლ. შერაზადიშვილმა განმარტა, რომ ობიექტები კერძო საკუთრებაა. სავარაუდოდ, იგეგმება ,,ლუკოილის" ბენზინგასამართი სადგურის უკან მდებარე მუნიციპალური ავარიული შენობის დემონტაჟი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა : საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 2.,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მომსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,
თანამომხს. ანა გოშაძე - ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი .,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მომსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 3. „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 4.,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილების თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,
თანამომხს. გრიგოლ კენჭაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი/

*თანა*მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილების თაობაზე.

აზრი გამოთქვა: ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა აღნიშნული პროექტის სათაური ჩასწორდეს და სხდომაზე წარმოდგენილი იყოს სრულყოფილი სახით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი - საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი ერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე